დრონის სიახლეები

მარტი 2021

ახალგაზრდული ასოციაცია
დრონის სიახლეები

დრონის FACEBOOK:
https://www.facebook.com/droniorg

დრონის INSTAGRAM:
https://www.instagram.com/droniorg/

მარტის აქტივობები

ამ თვეში ჩვენ კვლავ დავიწყეთ გრაფიტის ვორქშოპებ. ამჯერად, ოფისის ქვედა სართულზე შევქმენით რამდენიმე ესკიზი.



დრონში თამაშების ღამე განახლდა! ამჯერად ოფისში მოხალისეებთან და დრონის წევრებთან ერთად ვიყავით შეკრებილნი და სხვადასხვა სამაგიდო თამაშები ვითამაშეთ

დატვირთული თვის მიუხედავად, მაინც გამოვძებნეთ დრო ყაზბეგში წასასვლელად.

მარტის აქტივობები

მარტის ბოლოს დრონის გუნდი ზუგდიდში იმყოფებოდა. ჩვენმა ESC მოხალისეებმა სკოლის მოსაწვალეებს ჩაუტარეს 2 დღიანი ტრენინგი თემაზე „ადამიანის უფლებები". გარდა ამისა სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ვესტუმრეთ სოფლის ბიბლიოთეკებს.

დრონის ESC მოხალისე

გაიცანით მარლენი ჩვენი მოხალისე გერმანიიდან -

მარტის დასაწყისში ჩვენს გუნდს გერმანიიდან მარლენი შემოუერთდა. ჩვენთან ერთად მომდევნო ხუთი თვის განმავლობაში დარჩება. მარლენი აქტიურად იქნება ჩართული სხვადასხვა პროექტებში.

მარლენის აქტიურად იქნება ჩართული დრონის ვებ - გვერდზე ზრუნვასა და პროექტების წერაში

დრონის წევრები საზღვარგარეთ



" უკვე 6 თვეა რაც ლიტვაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირდა დღის ცენტრში მოხალისედ ვმუშაობ. ჩემი პროექტი ერთ წლიანია. გავიცანი საოცარი ადამიანიები, რომლებთან ერთადაც გატარებული დღეები ჩემთვის დაუვიწყარია. მინდა ვთქვა, რომ პიროვნულადაც ძალიან შევიცვალე. ყოველ დღიურად ვითარდები და ვიძენ ახალ უნარებს."

" ამ თვეში მოხალისე, რომელიც ჩემთან ცხოვრობდა და მუშაობდა, დაბრუნდა თურქეთში. თუმცა, მალე შევძელი ახალი მეგობრების შეძენა. მადლობელი ვარ აქ ყოფნისთვის და ვიცი, რომ ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო წელია."

დრონის წევრები საზღვარგარეთ



მე ვარ ეთო 22 წლის. უკვე ერთი თვეა რაც თურქეთში „Third eye project"-ის ფარგლებში მოხალისედ ვიმყოფები.

უნდა აღვნიშნო, რომ მეტად საინტერესოა ჩემთვის აქ ყოფნა. უკვე მოვინახულე ულამაზესი ადგილები და შევიძინე ახალი მეგობრები.

ერასმუს+ 2021-2027 პროგრამა

გამოქვეყნდა ერასმუსის ახალი 2021-2027 პროგრამა. გარდა ამისა დაანონსდა პირველი დედლაინიც.

პროგრამის ბიუჯეტი 26,2 მილიარდი ევროა, ხოლო 2014-2020 წლების 14,7 მილიარდ ევროს შეადგენდა.

ამ გაზრდილი ბიუჯეტით, Erasmus + იქნება უფრო ინკლუზიური, უფრო ციფრული და უფრო მწვანე. იგი ასევე მოიცავს DiscoverEU- ს, რომელიც 18 წლის მოზარდებს სთავაზობს ევროპული საშვების მიღებასა, მოგზაურობას და სხვა კულტურის გაცნობას.

https://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/news/erasmus-2021-2027-programme_en?fbclid=IwAR1qltH_cVOZy6D8l8g9U8SD6gYK3Rf7fT6iWbhcTIm_sm7MkeiCTuW8UEQ

დაგეგმილი ღონისძიებები

მომდევნო თვეს დაგეგმილია ახალი კამპანია. დეტალურ ინფორმაციას ძალიან მალე გაგიზიარებთ

ფილმების ჩვენება აპრილის თვეშიც გაგრძლდება

ჩვენს მოხალისეებთან ერთად გავაგრძელებ გრაფიტის ვორქშოპებს